community

The New Apostolic Church around the world

04/2022/GE

იგივე ნიჭი, იგივე შანსი

რედაქციისგან
ღმერთი ახალს ქმნის

ღვთისმსახურება
ერთად ვაშენოთ ახალი ტაძარი

ეკლესიის მოძღვრება
სასულიერო თანამდებობის გაგება

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 ღმერთი ახალს ქმნის

ღვთისმსახურება

4 ერთად ვაშენოთ ახალი ტაძარი

საბავშვო კუთხე

10 იესო აკურთხებს ბავშვებს

12 სტუმრად ემბერთან და ელენასთან მაკეიში (ავსტრალია)

დოქტრინა

14 სასულიერო თანამდებობის გაგების მოკლე მიმოხილვა

რეგიონალური ნაწილი

19 სემინარი მღვდელმსახურებისათვის საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი

Titelfoto: სამხრ. ამერიკის საერთაშორისო ახსე
Rückseitefoto: სამხრ. ამერიკის საერთაშორისო ახსე

ღმერთი ახალს ქმნის

ფოტო: საერთაშორისო ახსე

უფალი ახალს ქმნის. სულიწმიდის მეშვეობით იგი ახალ ცოდნასაც იძლევა, მას იესო ქრისტეს სრულ შემეცნებამდე მივყავართ.

ვიცი, ზოგიერთებს ძალისხმევა სჭირდება ამისთვის. წლების განმავლობაში რაღაცის გვწამდა, წლების განმავლობაში ვქადაგებდით და ახლა ყველაფერი სხვაგვარად არის და ახალია.

მაგრამ - რა არის ახლა უფრო მნიშვნელოვანი: ის, რისიც წლების განმავლობაში გწამდა ანდა რასაც ამბობდი, ქადაგებდი ან მოისმინე, თუ ის, რაც სულიწმიდისგან მოდის და ახლოს მიყავახარ იესო ქრისტესთან?

საყვარელო და-ძმანო, მოდით, მაინც და მაინც ნუ მივეჯაჭვებით რაღაცას მხოლოდ იმიტომ, რომ წლების განმავლობაში გვწამდა და ვისმენდით. საქმე არც იმაშია, მცადრი იყო ეს თუ სწორი. ერთადერთი კითხვა, რაც კაცმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას, ასეთია: ეს ახალი აზრი უფრო ახლოს მიმიყვანს იესოსთან? უკეთესად შეესაბამება იგი მის მრწამსს ?

თუკი იგი უფალთან უფრო ახლოს მიმიყვანს, მაშინ წავალ ამ გზით და გავითავისებ ამ ახალ ცოდნას. ხოლო თუ ეს ახალი აზრი არ შეესატყვისება ღვთის ნებას და მაშორებს იესო ქრისტეს, მაშინ არ მინდა იგი.

მაგრამ თუ სულიწმიდისგან მოდის ის, მაშინ ეს ახალი ცოდნა ხსნამდე მიმიყვანს, კურთხევამდე, რჩეულებამდე და იგი კიდევ უფრო დამაახლოვებს იესო ქრისტეს მრწამსს. მაშ, მივიღოთ ის. ძმაო, დაო, შენი წარმართვის საშუალება მიეცი მას.

გულითადი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

ერთად ვაშენოთ ახალი ტაძარი

ორმოცდაათობისადმი (სულთმოფენობისადმი) მიძღვნილი ღვთისმსახურება ბუტარდ ბუენოს-აირესის (არგენტინა) ცენტრალურ ეკლესიაში

ფოტო: სამხ. ამერიკის საერთაშორისო ახსე

1. კორ. 3, 16

„ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში?“

საყვარელო ძმებო და დებო, ჩვენ მადლობლები ვართ მამაზეციერისა, რამეთუ შეისმინა მან ჩვენი ლოცვები და შესაძლებელი გახადა, რომ ორმოცდაათობის დღესასწაული (სულთმოფენობა) თქვენს შორის აღგვენიშნა. ეს ძალიან გვენატრებოდა; ამის განცდა ახლა უბრალოდ არაჩვეულებრივია. მადლობლები ვართ იმის გამოც, რომ ყველა სამხ. მოციქული და მათი თანაშემწე არის ჩვენთან. მათი დასწრება განსაკუთრებული რამ არის ჩემთვის - ალბათ თქვენთვისაც. ისინი ყველა ღვთის შვილის წარმომადგენლები არიან, ყველა ახალსამოციქულო ქრისტიანის მსოფლიო მასშტაბით.

ისინი ერთად უძღვებიან ეკლესიას მთელ ქვეყანაზე და მათი მეშვეობით შეგვიძლია სულიერად დავუკავშირდეთ ყველა ძმასა და დას მთელ მსოფლიოში.

როცა ღვთის ხალხზე ვფიქრობ მსოფლიო მასშტაბით, მაოცებს ის, თუ რამდენად განსხვავებულები შეიძლება იყვნენ ისინი. თავად ღვთის ხალხში დიდი მრავალფეროვნებაა. ჯერ ერთი, ისინი სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ; და იცით, ზოგიერთ ქვეყანაში უსაფრთხოება და მშვიდობა სუფევს, მაგრამ არის მთელი რიგი ქცვეყნებისა, სადაც დანაშაულის მაღალი დონეა და ომი მიმდინარეობს. ზოგ ქვეყანაში განვითარების მაღალი დონეა, სხვებში კი - ნაკლები. ზოგიერთი ქვეყანა ძალიან მდიდარია, ზოგი კი -ღარიბი. ეს ჩვენი ძმებისა და დების ცხოვრებისეულ პირობებზე ახდენს გავლენას და არსებული პირობები ნამდვილად ძალიან განსხვავებულია.

ჩვენს ეკლესიაშიც დიდი მრავალფეროვნებაა. ზოგიერთ ქვეყანაში მილიონობით წევრი გვყავს, ზოგში კი ალაბთ - მხოლოდ ათეულობით. არიან ღვთის შვილები, რომლებიც ერთ დიდ თემს ეკუთვნიან, და არიან ისეთებიც, რომლებიც სულ მარტო და იზოლირებულნი არიან. თუ მათპირად,ინდივიდუალურ სიტუაციას დავაკვირდებით, ეს მრავალფეროვნება კიდევ უფრო გაიზრდება. ზოგი ძალიან ჯანმრთელია, ზოგი კი სულ ავად არის. არიან მდიდრები და ღარიბები. ზოგი დიდხანს ცოცხლობს, ზოგის სიცოცხლის ხანგრძლივობა კი საკმაოდ ხანმოკლეა. ზოგი არაერთი ნიჭით, უნარითა და პოტენციალით არის დაჯილდოვებული, ზოგი - ნაკლებით. უდიდესი მრავალფეროვნებაა.

ჩვენ, ადამიანებს, ამის ახსნა არ შეგვიძლია. უაზრობა იქნებოდა ამაზე ფიქრი, ვინაიდან პასუხს მაინც ვერ მივაგნებდით. ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით, არის ის, რომ ღმერთს ამ უსამართლობის აღმოფხვრა სურს. მას ყველა ადამიანის შეყვანა სურს ახალ შემოქმედებაში, სადაც აღარ იქნება უსამართლობა, სადაც ყველა ადამიანი გათავისუფლდება ბოროტისგან, სიკვდილისა და სნეულებისგან. ეს არის ის, რაც ჩვენ ვიცით.

ორმოდაათობაზე სულიწმიდის გარდამოსვლას აღვნიშნავთ - ეს რაღაც დიდებული რამ არის. ყველა ღვთის შვილმა, ვინც წყლისა და სულისგან ხელახლა იშვა, ერთი და იგივე საბოძვარი მიიღო: სულიწმიდის მადლი.

ასე მათ ქრისტეს ხატად გადაქცევის შესაძლებლობა მიეცათ. მათ ღვთის სასუფეველში პირმშოებად შესვლის შესაძლებლობა მიიღეს. და ნებისმიერმა, ვინც წყლისა და სულისგან ხელახლა იშვა, სულიწმიდის ზუსტად იგივე მადლი მიიღო. მას ღვთის სასუფეველში პირმშოდ შესვლის ზუსტად იგივე შესაძლებლობა, ზუსტად იგივე შანსი მიეცა. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა პირობებში ცხოვრობ; არა აქვს მნიშვნელობა იმას, ჯანმრთელი ხარ თუ არა, მდიდარი ხარ თუ არა, ნიჭიერი ხარ თუ არა. მთავარი მხოლოდ ერთი რამ არის: ქრისტეს ხატად გადაქცევის ნება. თუ ღვთის სასუფეველში პირმშოდ შესვლას გადაწყვეტ, ღმერთი ყველაფრით მოგამარაგებს, რაც ამისათვის გჭირდება - მიუხედვად იმისა, თუ რა პირობებში ცხოვრობ. ეს არის ორმოცდაათობის უდიდესი ნუგეში. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ თემს ეკუთვნი, რამდენი წლის ხარ და აშ. მოდით, ღვთის სასუფეველში შესვლისა და ღვთის ხატად გახდომის გადავწყვეტილება მივიღოთ. მინდა გითხრათ: თქვენ ამას შეძლებთ!

> მოწოდებულნი ვართ, ჩვენი ნიჭითა და ძალით ხელი შევუწყოთ იმას, რომ სახარება მომავალშიც იუწყებოდეს.

ორმოცდაათობაზე ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღესაც აღვნიშნავთ. ქრისტეს ეკლესია ამქვეყნად ორმოცდაათობაზე გახდა ხილული იმ მორწმუნეთა შეკრების შედეგად, რომლებიც სულიწმიდით იყვნენ აღბეჭდილნი. პავლე მოციქული ქრისტეს ეკლესიას აქ ტაძარს ადარებს. ის ახალი აღთქმის ტაძარია. პავლე დასძენს, რომ ყოველი მორწმუნე ღვთის მიერ ამ შენობაზე დამატებული ქვაა.

ძველი აღთქმის პერიოდში ტაძარი ღვთის სავანეს წარმოადგენდა ამქვეყნად. ისრაელის ხალხი ტაძარში ღმერთთან შესახვედრად მიდიოდა. ისინი ტაძარში ღმერთთან შესახვედრად, მის სადიდებლად და მისთვის მადლობის გადასახდელად იკრიბებოდნენ. მტრების თავდასხმის დროს ტაძარში მიდიოდნენ და ღმერთს დახმარებას ევედრებოდნენ. ღვთისათვის მიტევების სათხოვნელადაც მიდიოდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ მას, რამეთუ შენდობა მიეღოთ. ეს ძველი აღთქმა იყო.

ახალ აღთქმაში ეკლესიაა ღვთის ტაძარი. ეკლესია არის მონათლულ მორწმუნეთა კრებული, რომელიც ქრისტეს მიმდევარია. ღმერთთან შესახვედრად

ჩვენ ღვთისმსახურებაზე ვიკრიბებით, ღვთის შვილთა თანაზიარებაში. ვიცით რა, რომ ღმერთს ღვთისმსახურებაზე ვხვდებით, ერთად ვადიდებთ მის სახელს და ჩვენს მადლიერებას გამოვხატავთ. ამას ლოცვით, გალობით ვაკეთებთ, ჩვენს ნიჭებს მას მოვახმართ და მოყვასს სიკეთეს ვუკეთებთ. ღვთისადმი მადლიერების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება ერთამნეთის სამსახური, ერთმანეთისათვის სიკეთის კეთებაც არის. იესომ თქვა: რასაც ჩემს ძმას, ჩემს დას, ჩემს უმცირეს ძმათაგანს, ჩემს უმცირეს დათაგანს გაუკეთებთ, მე გამიკეთებთო (შევ. მათ. 25, 40). მაშასადამე, როცა ღვთის შვილებთან ერთად ვიკრიბებით და ერთმანეთს სიკეთეს ვუკეთებთ, ამით ჩვენი მადლიერების გამოხატვის დიდებული შესაძლებლობა გვეძლევა.

ჩვენ ღვთისათვის დახმარების სათხოვნელადაც ვიკრიბებით. უპ. ყოვლისა, ბოროტისგან გათავისუფლებას ვთხოვთ მას. როცა აქ მოვდივართ და ღმერთს დახმარებას ვთხოვთ, ვიცით, რომ ის დაგვეხმარება. რა თქმა უნდა, შეგვიძლია მივიდეთ ჩვენს ზეციერ მამასთან და ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მოვახსენოთ. ჩვენ ვენდობით ღმერთს, ის ჩვენი მამაა, მან იცის, რაც გვჭირდება -, და ის უსათუოდ მოგვცემს მას. როცა ერთმანეთისთვის ვლოცულობთ, იგი შეისმენს ჩვენს ლოცვას.

ყოველი მორწმუნე ტაძრის კუთვნილი ქვაა

მაგრამ ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი თხოვნა, ცხადია, ეს არის: „გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან; შეგვიყვანე შენს სასუფეველში, თავისუფლებაში.“ ღმერთი შეისმენს ჩვენს ამ ლოცვას. ის უკვე მუშაობს იმაზე, რომ ბოროტისგან გვიხსნას.

ღმერთს ჩვენთვის ცოდვების შენდობასაც ვთხოვთ. როცა „მამაო ჩვენოს“ ერთად ვლოცულობთ, ამით ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს და ერთად შევთხოვთ ღმერთს, რომ მოგვიტევოს ისინი, რომ ჩვენს ძმასა და დასაც მიუტევოს ცოდვები. ღმერთი ამ ლოცვასაც შეიწყნარებს. და ყველაზე კარგი ის არის, რომ ცოდავათა მიტევების მისაღებად მსხვერპლის შეწირვა აღარ გვჭირდება. ჩვენ იესო ქრისტე გვყავს. მსხვერპლი მან გაიღო. მან ეს ერთხელ და სამარადჟამოდ გააკეთა და საკმარისია. მისი მსხვერპლი საუკუნოდ ძალაშია ყველა ადამიანისათვის. ე. ი., როცა ერთად ვიკრიბებით და ცოდვათა მიტევებას ვითხოვთ, მსხვერპლის შეწირვა საჭირო აღარ არის; უფალს კი მის მიერ გაღებული მსხვერპლის გამო ვაქებთ და ვადიდებთ. ამას წმიდა ზიარების დროს ვაკეთებთ. ასე ჩვენს მადლიერებას გამოვხატავთ. იესო ქრისტემ მსხვერპლად გაიღო თავი და მისი ეს მსხვერპლი ისევ ძალაშია და მუდამ ძალაში იქნება. სწორედ ეს მნიშვნელობაა ჩადებული ამ სიტყვებში: ეკლესია ახალი აღთქმის ტაძარია. ჩვენი შეკრების მიზანი მადლიერების გამოხატვა და ღმერთის დიდებაა, ლოცვა და იმის თხოვნა, რომ დაგვეხმაროს ჩვენც და ჩვენს მოყვასსაც; ცოდვების შენდობასაც ვთხოვთ მას; და იესო ქრისტეს მსხვერპლს საზეიმოდ აღვნიშნავთ.

ძველ აღთქმაში ტაძარს კიდევ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა: სოლომონის მიერ ტაძრის მშენებლობა გარკვეული ნიშნის მატარებელი იყო. მას სურდა დარწმუნებულიყო, რომ ყველა წარმართი შეძლებდა იმის დანახვას, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი დედამიწაზე მის ხალხს შორის ცხოვრობს. მაშასადამე, ტაძარი ისრაელში ღვთის სუფევის ნიშანი იყო და, ამდენად, მისი დედამიწაზე ყოფნის ნიშანი. ქრისტეს ეკლესია ახალი აღთქმის ტაძარია. ე. ი., ეკლესია იმის ნიშანია, რომ ღმერთი ჯერ კიდევ დედამიწაზეა და მოქმედებს.

პავლეს სიტყვები, რომ ყოველი მორწმუნე ამ ტაძრის შემადგენელი ქვაა, ნიშნავს იმას, რომ ეკლესიის ნებისმიერი წევრი ღვთის სუფევის ნიშანს წარმოადგენს ამქვეყნად. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვინაიდან საქმე იესო ქრისტეს ეკლესიას ეხება, ყოველი მორწმუნე, ყოველი ქრისტიანი, იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ იესო ქრისტე არა მარტო ისტორიული ფიგურაა, არამედ ის ცოცხალია, დედამიწაზე სუფევს და თავის საქმეს აკეთებს. მე და შენ, ძმებო და დებო, მოწოდებულნი ვართ, ღმერთის სუფევისა და მოქმედების ხილული ნიშანი ვიყოთ. შეგვიძლია იმაზე ვიმოწმოთ, რომ ღმერთი ჩვენს გულებში ცხოვრობს. ის შორს არ არის ზეცაში და ჩვენ მას მხოლოდ დრო და დრო არ ველაპარაკებით, არა, ის ცოცხალია და ის ჩვენს გულებში ცოცხლობს! ის მუდამ ჩვენთან არის.

და ვინაიდან ეს ასეა, ვინაიდან ღმერთი ჩვენთან არის, ვინაიდან ის ჩვენს გულებში ცხოვრობს, მოდით, ღმერთს ვასიამოვნოთ და არა ადამიანებს. ეს თითქოს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ასე არ არის. ვხედავთ, თუ რამდენ ენერგიას ხარჯავენ ადამიანები, სხვების მოწონება რომ დაიმსახურონ. ყველაფერს აკეთებენ მხოლოდ იმისათვის, რომ სხვების მსგავსნი გახდნენ, შეესაბამებოდნენ გაბატონებულ აზრს, ზუსატად ის თქვან, რასაც სხვები ამბობენ, რომ თუნდაც რამოდენიმე ლაიქი მიიღონ სოციალურ ქსელებში. მათ სურთ, რომ პატივს სცემდნენ. ანდა ბიბლიის ენით რომ ვთქვათ,

წმიდა ზიარება განსვენებულთა ნაცვლად მიიღეს მოციქულებმა ჟერარდო ზანოტიმ და გილიერმო კანესამ, რომლებიც ამ ღვთისმსახურებაზე დამსახურებულ პენსიაში გაუშვეს

სურთ, რომ ადმაიანებს მოეწონოთ ისინი. და რა ხდება ღმერთის შემთხვევაში?

მოდით, დავამტკიცოთ, რომ ღმერთი ჩვენს გულებში ცხოვრობს. ამდენად, ჩვენთვის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება, მოვეწონოთ ღმერთს და არა ადამიანებს. ჩვენ ისიც უნდა დავამტკიცოთ, რომ ღმერთი არა მხოლოდ ცხოვრობს ჩვენს გულებში, არამედ მოქმედებს კიდეც ეკლესიაში და ჩვენს გულებში. ეს ჩვენს სულიერ განვითარებაში გამოჩნდება. ვიცი, აქ ახალი არაფერია. ამას უკვე ათეული წლები და საუკუნეებია ქადაგებენ.

საკუთარ თავს ვეკითხები და თან სერიოზულად: როგორ არის საქმე სულიერ განვითარებასთან დაკავშირებით? სასიამოვნოა ამის მოსმენა: „დიახ, ჩვენ ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის ვემზადებით, ვესწრებით ღვთისმსახურებებს, შესაწირს ვწირავთ.“ მაგრამ კითხვა, რომელიც ამას მოსდევს, ყოველთვის ერთი და იგივეა: „შეიცვალეთ?“ ამ კითხვას ყველამ თვითონ უნდა გასცეს პასუხი. გთხოვთ, ამ დროს მოყვასზე ნუკი დაიწყებთ ფიქრს, არამედ საკუთარ თავზე დაფიქრდეთ. გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ჩემი პასუხით კმაყოფილი არ ვარ. ამაზე უნდა ვიმუშაოთ. იმდენი რამეა, რაც უნდა შევცვალოთ, რისი შეცვლაც შეგვიძლია ჩვენს აზროვნებაში, ჩვენი ცხოვრების წესში. უფრო მეტი ნდობა უნდა გამოვიჩინოთ ღმერთის მიმართ გარკვეულ სიტუაციებში. ჩვენ შეგვეძლო და აუცილებელიც იყო, რომ სხვაგვარად მოვქცეოდით მოყვასს. გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

დაე, იმის ნიშანი ვიყოთ, რომ ღმერთი მის ეკლესიასა და ჩვენს გულებში მოქმედებს. გახსოვდეთ, თქვენ იმის გადაწყვეტილება მიიღეთ, რომ ქრისტეს ხატად იქცეთ. ღმერთი თავის საქმეს აკეთებს, ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ. ღმერთის სუფევის კიდევ ერთი ნიშანი მისი ხალხის ერთიანობაა. იესო ქრისტე მისი ხალხის ერთიანობისათვის ლოცულობდა. მისთვის მოწაფეთა ერთიანობა სამების ერთიანობის ამსახველი იყო. მას სურდა, რომ მისი ხალხი ერთი ყოფილიყო, როგორც ის და მამა არიან ერთნი, რათა ეჩვენებინა, რომ აქ სამება მოქმედებს. ეკლესია ღმერთის სუფევის ხილული ნიშანია; ამიტომაც ვმუშაობთ ღვთის ხალხის ერთობაზე, როგორც ამის ერთ-ერთ უდიდეს ნიშანზე. იქ, სადაც ღმერთი ნამდვილად სუფევს, როგორც ღმერთის, მამის, ძისა და სულიწმიდის ერთობა, იქ ერთობა და ერთიანობაა.

ჩვენ, ყველანი, მოწოდებულნი ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ეკლესიის, ტაძრის, მშენებლობაში.

ეკლესიის აშენებაზე მომავლისთვის, გარკვეულწილად, ჩვენც ვართ პასუხისმგებელნი. ყველა ჩვენთაგანი მოწოდებულია, თავისი ნიჭითა და ძალით ხელი შევუწყოს იმას, რომ მომავალშიც იუწყებოდეს სახარება; რომ მომდევნო თაობებისთვისაც იყოს შესაძლებელი ქრისტეს მეორედ მოსვლის უწყება; რომ მომავალშიც შეძლოს ქრისტეს სასძლომ მომზადება; რომ მორწმუნეებს ერთმანეთთან და ღმერთთან თანაზიარება მომავალშიც ჰქონდეთ. ყველა მონათლული მოწოდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ამაში. ცხადია, განსხვავებული ნიჭებითა და უნარებით; პასუხისმგებლობაც კი სხვადასხვა გვაკისრია. მაგრამ ყველა თქვენთაგანი საჭიროა და ყველას შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა. მოდით, ერთად ვემსახუროთ უფალს. და, მოდით, ჩვენი ნიჭებით ერთმანეთი შევავსოთ. ასე უნდა იყოს ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. რა თქმა უნდა, ამ ეკლესიას, ტაძარს, ადამიანური გაგებით ვერ ავაშენებთ. ასე რომ იყოს, მაშინ ყველა იტყოდა: „ჩემთვის მოსახერხებელი უნდა იყოს. მინდა

ეკლესია ისე აშენდეს, რომ ჩემთვის მოსაწონი იყოს. არ მინდა, აზრი შევიცვალო. მინდა ისეთს მცემდნენ პატივს, როგორიც ვარ. არ მინდა, შევიცვალო ჩვევები.“ წარმოიდგინეთ ეკლესია, რომელიც ასე აშენდება. მაშინ ნამდვილი ქაოსი იქნებოდა. არა, ღმერთი ასეთ რამეს გვეუბნება: „შენ ხარ პასუხუსმგებელი ტაძრის აშენებაზე, მაგრამ იგი ჩემი გეგმისამებრ აშენდება.“ მისი გეგმა კი ძალიან ზუსტია.

ღვთის გეგმა იესო ქრისტეს სახარებაა, მოციქულთა მოძღვრება, ისე როგორც ბიბლიაში წერია ის. როცა ბიბლიაზე ვლაპარაკობ, ბევრი კითხვა ჩნდება. საკუთარი აზრის გასამყარებლად ბევრი ადამიანი ბიბლიას მიმართავს. ბიბლიას თითქმის ყველაფრისთვის იყენებენ. ყოველთვის შეიძლება მასში ისეთი სიტყვის მოძებნა, რომელიც ჩვენს საკუთარ აზრს დაადასტურებს. თუ ვინმეს ვიღაცის მოკვლა სურს, შეუძლია ბიბლია წაიკითხოს და კარგი მიზეზი მოძებნოს ამის გასაკეთებლად. ცოტა გადავაჭარბე, მაგრამ გესმით ალბათ, რასაც ვგულისხმობ.

ნუ გამოვიყენებთ ბიბლიას ამგვარად. მოდით, იგი სულიწმიდის შუქზე წავიკითხოთ. მოციქულებს ბიბლიის სულიწმიდის შუქზე განმარტება აქვთ დავალებული; ჩვენ კი, ყველამ, სულიწმიდის მადლი მივიღეთ. გთხოვთ, ბიბლიის წასაკითხად და განმარტებისთვის სწორედ ეს მადლი გამოიყენოთ და არა საკუთარი შეხედულებები. როცა ბიბლიას სულიწმიდის შუქზე ვკითხულობთ, იგი ღვთისადმი და მოყვასისადმი სიყვარულს აღვიძებს. ამ შემთხვევაში ბიბლიის კითხვა სასარგებლოა, რამეთუ იგი ღვთისა და მოყვასის სიყვარულის გზავნილს შეიცავს. და გახსოვდეთ: ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ღმერთს მოვეწონოთ, ვიდრე ადამიანებს.

მოდით, ტაძრის მშენებლობაში ამ გზით შევიტანოთ ჩვენი წვლილი. მოდით, ჩვენი ნიჭი, ჩვენი უნარი, ჩვენი ძალა, ჩვენი ენერგია ყველამ ერთად იმისათვის გამოვიყენოთ, რომ მომავალშიც შესაძლებელი იყოს სახარების უწყება, ქრისტეს მეორედ მოსვლის უწყება, რომ სასძლო მოემზადოს და ღვთის შვილებს თანაზიარება ჰქონდეთ ერთმანეთთან. ცხადია, ეს ტაძარი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ის ჯერ მშენებლობის პროცესშია; და როცა მშენებარე შენობას ვუყურებთ, ვხვდებით, რომ რაღაც მაინც აკლია. ჩვენი ეკლესიის ხილული ნაწილი, ცოცხლები, ცოცხალთა კრებული, ჯერ კიდევ არასრულყოფილია. არ ინერვიულოთ! ეს ნორმალურია. ის მშენებლობის პროცესშია. მთავარი არასრულყოფილებათა ჯამი კი არ არის, ის, რასაც ვხედავთ, არამედ ის, თუ როგორ გავუმკლავდეთ მას. ვიდრე ეკლესია დედამიწაზეა, შეუძლებელია სრულყოფილი იყოს. თუმცა ღვთის შეწევნითა და სულიწმიდის წარმართვით შევძლებთ ადამიანურ არასრულყოფილებებს სრულყოფილად გავუმკლავდეთ. ამ შემთხვევაშიც სულიწმიდის შთაგონებას უნდა მივენდოთ. ის გვასწავლის, თუ როგორ მოვიქცეთ.

ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს ეკლესიის იმ ნაწილს, რომელიც მომზადებული იქნება, ის თავისთან წაიყვანს. ისინი სრულყოფილები არ იქნებიან, მაგრამ უფალი მათ თავისი წყალობითა და დამსახურებით სრულყოფილს გახდის. მხოლოდ ასე შევძლებთ ღვთის სასუფევლში შესვლას.

ტაძარი საბოლოოდ ახალ შემოქმედებაში აღიმართება, როცა ყველა ადამიანი, ქრისტეს მორწმუნე და მიმდევარი, ყველა, ვისაც ღმერთი მიიღებს, სრულ და საუკუნო თანაზიარებაში იცხოვრებს ღმერთთან. რამხელა წყალობაა! დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირდება. ჩვენ უკვე ამჟამად ველოდებით ქრისტეს მეორედ მოსვლას.

ქადაგების შემდეგ პირველმოციქულმა თქვა: სულიწმიდის ძალა ასაკზე არ არის დამოკიდებული. ის ხანდაზმულებზეც ისევე მოქმედებს, როგორც ახალგაზრდებზე. დღეს დილითაც კიდევ ერთი შესაძლებლობა მოგვეცა იმისათვის, რომ სულიწმიდის ძალა განვიცადოთ.

როცა ცოდვათა მიტევებისა და წმიდა ზიარებისათვის ვემზადებით, ყველა ერთად ასე ვლოცულობთ: „მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა.“ როცა ყველა ერთად წარმოვთქვამთ ამ ლოცვას, მაშინ მარტო ჩვენი ცოდვების მიტევებისათვის კი არ ვლოცულობთ, არამედ ღმერთს ჩვენი მოყვასისთვისაც ვთხოვთ ცოდვათა მიტევებას; შემდეგ კი ვალდებულებას ვიღებთ, რომ ჩვენც მივუტევებთ მოყვასს. ეს ორი სხვადასხვა რამ არის. ჯერ მოყვასისათვის ვითხოვთ მიტევებას, მერე კი ჩვენც გვინდა, რომ მივუტევოთ მას. ვიცი, ზოგჯერ ძალიან ძნელია, მივუტევოთ მოყვასს იმ შემთხვევაში, როცა მან, მართლაც, საშინელი რამ ჩაიდინა. ზოგიერთებს ეშინიათ და ამბობენ: „მომიტევებს კი ღმერთი მე, თუკი მე თავად არ ძალმიძს მიტევება?“

პირველმოციქული ლებერი ხშირად ამბობდა, რომ სულ მცირე ადამიანი პატიებისთვის მაინც უნდა იყოს მზად. მაშ, ნუ იდარდებ, თუ გარკვეული დრო დასჭირდება იმას, ვიდრე ამას შეძლებ. ღმერთი დაინახავს შენს ძალისხმევას იმისათვის, რომ აპატიო მოყვასს.

ახალი მოციქულები ნესტორ მანზელი, კლაუდიო ვიდელა და პაბლო ბასო

ამას მეორე ასპექტი მოსდევს: ჩვენ ვლოცულობთ და ვთხოვთ ღმერთს, რომ აპატიოს ჩვენს მოყვასს. ეს სხვა რამ არის. ძმებო და დებო, თუ ჯერ კიდევ არ შეგიძლიათ მოყვასისათვის მიტევება, გთხოვთ, პირველი ნაბიჯი მაინც გადადგათ და ღმერთს სთხოვოთ ამის გაკეთება! უგულვებელყავით ის აზრები, რომ ღმერთს უნდა დაესაჯა იგი, განესაჯა. ასე ვილოცოთ: „გევედრები, ღმერთო, არ შემიძლია მიტევება, მაგრამ, გთხოვ, რომ შენ მიუტევო!“ დარწმუნებული ვარ, რომ ეს პირველი და გადამწყვეტი ნაბიჯია იმისკენ, რომ ჩვენც შევძლოთ მოყვასისათვის მიტევება. ამ ნაბიჯის გადადგმა სულიწმიდის ძალით შეიძლება.

ამის შემდეგ სულიწმიდის ძალას წმიდა ზიარებაში განვიცდით. სულიწმიდის ძალისა და მოქმედების მეშვეობით არა მხოლოდ პურისა და ღვინის მიღება, არამედ იესო ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღებაც შეგიძლია. ეს მხოლოდ სულიწმიდის მოქმედებითა და ძალით არის შესაძლებელი.

ჩვენი თანაზიარება იესო ქრისტესთან წმიდა ზიარების მიღებით, ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღებით, ძლიერდება. ის გვეუბნება: „აიღეთ, ეს მე ვარ! ხედავ? მიყვარხარ და შენთვის მოვკვდი! ხედავ? აქ ვარ, შენთან ვარ! ხედავ? მინდა ჩემს სასუფეველში შეგიყვანო და მინდა, რომ საუკუნოდ ჩემთან იყო! აიღე, ეს მე ვარ!“ ეს იესო ქრისტესთან თანაზიარებას ანმტკიცებს.

როცა იესოს ხორცსა და სისხლს ვიღებთ და, ამდენად, მის ღვთიურ ბუნებას ვეზიარებით, დაძლევის ძალასაც ვიღებთ. ვიფიქროთ იმაზე, რომ უნდა შევიცვალოთ. მოდით, ჩვენი სულიერი განვითარების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ. ამის ძალას წმიდა ზიარებაში ვიღებთ. როცა წმიდა ზიარებას ვზეიმობთ, ქრისტეს ირგვლივ ვიკრიბებით, ეს ჩვენს თანაზიარებას და ერთობას აძლიერებს. ცხადია, ჩვენ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან, მაგრამ ერთად ვართ ქრისტეში.

ძირითადი აზრები

ეკლესია არის მონათლულ მორწმუნეთა კრებული, რომელიც ქრისტეს მიმდევარია. ჩვენ გვინდა იმის თვალსაჩინო ნიშანი ვიყოთ, რომ ღმერთი დედამიწაზეა და ჩვენს გულებში სუფევს და მოქმედებს; მოწოდებულნი ვართ, ეკლესიის მშენებლობაში მივიღოთ მონაწილეობა. ამას ჩვენ ღვთის გეგმისამებრ ვაკეთებთ, იესო ქრისტეს სახარებისამებრ.

იესო აკურთხებს ბავშვებს

მათ. 18, 1-5-ის მიხედვით

ერთ დღესაც იესოს ბავშვები
მიუყვანეს. მშობლებს სურდათ,
რომ ისინი იესოს ეკურთხებინა.

მოწაფეები შეეცადნენ, ბავშვები
იესოსგან შორს დაეჭირათ.
ფიქრობდნენ, რომ ბავშვები
აწუხებდნენ მას; ფიქრობდნენ, რომ
ხელს უშლიდნენ, ვინაიდან
არ იცოდნენ, თუ
რამდენად უყვარდა იესოს
ისინი.
იესომ დაინახა, რომ
მოწაფეებს ბავშვების
თავიდან მოშორება
უნდოდათ, და უთხრა მათ:
„მოუშვით ბავშვები ჩემთან.
ნუ აჩერებთ. ვინაიდან მათია
ცათა სასუფეველი.“
ამის მერე ხელები დაასხა
ბავშვებს და აკურთხა ისინი.
მეორე შემთხვევაში
მოწაფეებს იესოსგან
უნდოდათ გაეგოთ, თუ ვინ

იქნებოდა ცათა სასუფეველში „უფრო დიდი“.
ამ დროს იესომ დაუძახა ბავშვს, მათ შორის ჩააყენა და თქვა: „თუ არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში. ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი ცათა სასუფეველში.“
იესომ გააგრძელა: „ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს, ხოლო ვინც ხელს შეუშლის ბავშვს ჩემს რწმენაში, მისთვის აჯობებს ზღვის უფსკრულში ჩაიძიროს. არ უგულვბელყოთ ბავშვები. მათი ანგელოზები ზეცაში სულ მუდამ ხედავენ ჩემი ზეციერი მამის სახეს. ჩემს ზეციერ მამას სურს, რომ დაიფაროს თვითეული მათგანი.“

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 06. 2022 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ამბერთან და ელენასთან მაკეიში (ავსტრალია)

გამარჯობათ, როგორ ხართ? აი, ასე გესალმებით. ჩვენ ელენა და ამბერი ვართ, ორივე ექვსი წლის, ვართ დეიდაშვილები და დავიბადეთ აქ, ავსტრალიაში. ჩვენი დედები დები არიან; 15 წლის წინ ისინი ოჯახებთან ერთად გერმანიიდან ავსტრალიაში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. აქ ფოტოსურათია, სადაც ჩვენს დედმებთან ერთად ვართ: ჩვენ, ორივე, უკან ვდგავართ, წინ ქრისტინაა, ოთხი წლის, ნათანი, სამი წლის, და ჯეკი, ორი წლის.

ავსტრალია თავისი დიდებული ცხოველთა სამყაროთია ცნობილი. აქ კენგურუსთან და კუალასთან ერთად გვხედავთ. ბევრ ადამიანს ჰგონია, რომ კუალა დათვია, მაგრამ ისინი ჩანთოსნები არიან და არც ისე სასიამოვნო სუნი აქვთ, როგორც გამოიყურებიან.

ჩვენ ზღვასთან ვცხოვრობთ და ქვიშის ციხესიმაგრეების აგება და ფრანის გაშვება გვიყვარს ზამთარშიც კი, ვინაიდან ამ დროს აქ სასიამოვნოდ თბილა. გარდა ამისა, ბევრი რამის აღმოჩენა შეიძლება: კიბორჩხალების, პატარა თევზების, მიდიების, მარჯნების. რამოდენიმე კვირის წინ სკაროსიც ვნახე! ზამთარში სანაპიროდან კუზიანი ვეშაპების დანახვაც შეიძლება; ეს, მართლაც, შესანიშნავია.

ჩვენი თემი მაკეიში დაახ. 60 ერთმორწმუნე და-ძმისგან შედგება. ამ სურათზე ვართ ჩვენ, საკვირაო სკოლის ბავშვები, და სამხ. მოციქული პეტერ შულტე, რომელიც ჩვენი თემიდან არის.

ამინდი აქ ძირითადად ძალიან კარგია, ამიტომაც საკვირაო სკოლის ექსკურსიებზე ბევრ ღონისძიებას ღია ცის ქვეშ ვატარებთ.

გვიყვარს ავსტრალიური სოსისების და ღვეზელების ჭამა, რომელიც ფენოვანი ცომით მომზადებული ხორცის ღვეზელია. მაგრამ გერმანული სამზარეულოც ძალიან გვიყვარს. განსაკუთრებით გვეგემრიელება შვაბური შპეცლე და ბრეცელები ჩვენი ბებია-ბაბუისგან.

ეს ფოტო მაშინ არის გადაღებული, როცა ყველა დეიდაშვილი და ბებია-ბაბუა ერთად ვიყავით.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 06. 2022 წ.; ფოტოები: პირადი; manuk74; rashmisingh; Anikonaann; Dominik Rueß - stock.adobe.com

სასულიერო თანამდებობის გაგების მოკლე მიმოხილვა

„სასულიერო თანამდებობის ახალსამოციქულო გაგება“: ასე ეწოდება 32-გვერდიან ეპისტოლეს, რომელიც ცოტა ხნის წინ მღვდელმსახურებს დაეგზავნა - აქ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი ამონარიდები ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ფოტო: ბორის რენცი

სასულიერო თანამდებობა და მსახურება საეკლესიო ცხოვრების ნაწილია, მათ გარეშე ეკლესია ვერ შეძლებს მისი ამოცანის შესრულებას, კერძოდ, ქრისტეზე დამაჯერებელ მოწმობას. „სასულიერო თანამდებობა ქრისტეს ეკლესიაში ორდინაციის შედეგად მინიჭებული უფლებამოსილება, კურთხევა და მსახურებისათვის განწმედაა, რაც სულიწმიდის ძალით ხორციელდება“ (ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო, კატ. 7. 1).

„თანამდებობისგან განსხვავებით ქრისტეს ეკლესიაში ბევრი სხვა მსახურებები არსებობს სახარების საუწყებლად და მორწმუნეთა კეთილდღეობისათვის, რომელთა აღსრულებაც ორდინაციის გარეშეა შესაძლებელი“ (კატ. 7. 1)“. მაშასადამე, თემსა და ეკლესიაში რომელიმე განსაზღვრული დავალების შესასრულებლად ორდინაცია საჭირო არ არის. „სასულიერო თანამდებობისგან განსხვავდება ასევე მოწოდება თვითეული მორწმუნის მიმართ, რომ ემსახუროს უფალს მიმდევრობით“ (კატ. 7.1). საყოველთაო სამღვდელოების რეალიზება ქრისტეს მიმდევრობაში ხდება სიტყვითა და საქმით.

ორი ბუნება

იესო ქრისტეს ორი ბუნება აქვს, ასე სწამთ და ამას აღიარებენ ყველა კონფესიის ქრისტიანები: ის „ჭეშმარიტი ადამიანი და ჭეშმარიტი ღმერთია“ (კატ. 3. 4). თუ იესოს პიროვნება და საქმე ეკლესიისათვის და ყოველივე იმისათვის, რაც მას უკავშირდება, მასშტაბს ქმნის, მაშინ ლოგიკურია, რომ მოძღვრება ეკლესიის შესახებ და მოძღვრება საიდუმლოების შესახებ - განსაკუთრებით წმიდა ზიარების შესახებ - მჭიდრო კავშირშია მოძღვრებასთან იესოს ორბუნებოვნების შესახებ.

„ქრისტეს ეკლესიასაც აქვს დაფარული ანუ უხილავი და ხილული ანუ აშკარა მხარე. [...] ეკლესიის დაფარული მხარის აღწერა, საბოლოო ჯამში, ისევე შეუძლებელია, როგორც იესო ქრისტეს ღვთიური ბუნებისა, მაგრამ მისი არსებობა აღიქმება საიდუმლოებით განპირობებულ ხსნის საქმეებში და ღვთის სიტყვაში. [...] კაც-იესოს მსგავსად ქრისტეს ეკლესიის აშკარა მხარესაც თავისი წილი აქვს კაცობრიობის საყოველთაო ისტორიაში. იესოსგან განსხვავებით ეკლესიაში მოქმედი ადამიანები ცოდვას ექვემდებარებიან. აქედან გამომდინარე, ეკლესიაშიც აქვს ადგილი შეცდომებს, გადაცდომებსა და წარუმატებლობებს, რაც კაცობრიობისთვის არის დამახასიათებელი“ (კატ. 6. 3). სასულიერო თანამდებობის გაგებისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოძღვრებას ორბუნებოვნების შესახებ. ეს თვალსაჩინო უნდა გახდეს სასულიერო თანამდებობასა და პიროვნებას შორის ურთიერთობის განსაზღვრის საფუძველზე.

სასულიერო თანამდებობა და პიროვნება

იმის თვალსაჩინო მაგალითს, რომ პიროვნება და სასულიერო თანამდებობა, პირადი ცხოვრება და საჯარო მოღვაწეობა, ერთ მთლიანობას ქმნის, ახალ აღთქმაში პავლე მოციქული წარმოადგენს. მოციქულს შეუძლია ილაპარაკოს პიროვნებისა და თანამდებობის ერთიანობაზე, რამეთუ ის ქრისტეს რწმენით არის აღვსილი, ქრისტეს მიმდევარია - მის ტანჯვაში მონაწილეობის აზრითაც - და სახარების ერთგულია.

მეხუთე სარწმუნოებრივ დებულებაში ნათქვამია, რომ ადამიანს ღმერთი „გამოარჩევს სასულიერო თანამდებობისთვის. აქედან გამომდინარე, სასულიერო თანამდებობა ადამიანური საქმე არ არის და, საბოლოო ჯამში, არც თემის, არამედ ღვთის მადლია მისი ეკლესიისათვის (კატ. 2. 4. 5)“. რჩეული „დიახ“- ს მაშინ ამბობს მის რჩეულებაზე, როცა იღებს ღვთიურ რჩეულებას და მთელი არსებით ცდილობს, გაამართლოს იგი. ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელი კარგი უნარები და თვისებები ორდინაციის პროცესში სასულიერო მსახურების წარმართვის სამსახურში დგება. ამავე დროს ირკვევა, რომ ორდინაციით ახალი ნიჭების გადაცემა არ ხდება.

კატ. 7. 6. 3-ის ეს აბზაცი სასულიერო თანამდებობის პირობით ჩარჩოებზე, კერძოდ, ეკლესიაზე მიუთითებს მაშინ, როცა იგი მოციქულზე ისე ლაპარაკობს, როგორც „სიხარულის ხელშემწყობზე“ (2. კორ. 1, 24) ან „თემის მაგალითზე“. თემისადმი კეთილგანწყობა მხოლოდ მაშინ არის ქმედითი, როცა სასულიერო თანამდებობა და პიროვნება, სამსახურის აღსრულება და ცხოვრების წესი, თანხვედრაში მოდის იმგვარად, რომ ორივე იესო ქრისტეზეა ორიენტირებული.

ერთობა, რომელიც შეიძლება დაიშალოს

სასულიერო თანამდებობა და პიროვნება ერთიანობას ქმნის - ისე, როგორც ადამიანი და ღმერთი იესოში ან ხილული და უხილავი ეკლესია, ან როგორც პური და ღვინო ქრისტეს ხორცთან და სისხლთან ერთად. თუმცა ეს ერთიანობა სრულყოფილი არ არის, არამედ პიროვნების ცოდვილიანობის გამო იგი საფრთხის ქვეშ იმყოფება და მყიფეა. მართალია, სასულიერო თანამდებობას პიროვნება იღებს და იგი მის სათანადო აღსრულებაზეა პასუხისმგებელი, მაგრამ ის მაინც ყოველთვის თემზეა ორიენტირებული და მისი ადგილი იქ არის.

სასულიერო თანამდებობაზე ორდინაციის აქტიც ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ მოძღვრებაზე მიუთითებს: მარადიული სიტყვის ღვთიური ბუნება, როცა ის სულიწმიდისგან იშვება, ადამიანურ ბუნებასთან კავშირში შედის. ორდინაციის დროს სასულიერო თანამდებობა, რომელიც წმიდაა და სულიწმიდის ძალით გადაიცემა, ცოდვილ ადამიანთან შედის კავშირში.

სასულიერო თანამდებობა პიროვნების მფლობელობაში არ გადადის, ის არც წარუშლელად აღიბეჭდება პიროვნებაზე, არამედ არის ქრისტეს მადლი, რომელსაც იესო ქრისტე ფლობს და, რომელსაც ან ანიჭებს პიროვნებას და ან არა. პიროვნებისათვის სასულიერო თანამდებობიდან ჩამოშორების ან მისი მოხსნის შესაძლებლობა ჩვენს ეკლესიაში ორდინაციის არასაკრამენტული გაგების ფაქტობრივი შედეგია.

სასულიერო თანამდებობის ასპექტები

სასულიერო თანამდებობის მიღება ორდინაციის (ხელდასხმის) მეშვეობით ხდება - ანუ უფლებამოსილების, კურთხევისა და განწმედის გადაცემით. მღვდელმსახურისათვის სასულიერო თანამედებობის სათავე იესო ქრისტეშია და ორდინაციის მეშვეობით გადაეცემა მას, რომელსაც მოციქული ატარებს და, რომელიც - კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი - საიდუმლო არ არის. ადამიანი სულიწმიდისგან ისეთ რამეს იღებს, რაც მისი შესაძლებელობებისა და უნარების ფარგლებს სცილდება.

როგორც მთელი ეკლესია, მღვდელმსახურებიც სულიწმიდის სუფევაზე არიან დამოკიდებულნი და სასულიერო მსახურების აღსრულებისას მისი ამოქმედებისთვის უნდა ილოცონ. სულიწმიდა არა მხოლოდ იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მღვდელმსახურმა თავისი ამოცანა შეასრულოს, არამედ ის სასულიერო მსახურების აღსრულების პროცესში აქტიურად მოქმედებს, იმისდა მიუხედავად იქნება ეს მსახურება საკრამენტული, მქადაგებლური თუ სასულიერო.

სასულიერო თანამდებობა, ერთი მხრივ, არის მსახურება ღვთისათვის და, მეორე მხრივ, ადამიანისათვის. ამდენად, მასახურების აღსრულება სიყვარულის ორმაგ მცნებაზეა ორიენტირებული. ღვთისადმი მსახურება მის ქება-დიდებასა და მისი სათნოებების უწყებაში მდგომარეობს. მოყვასისათვის მსახურება კი მდგომარეობს სასულიერო მზრუნველობაში და თემის წევრთა მხარდაჭერაში, ასევე იმის მცდელობაში, რომ ეს მზრუნველობა და მხარდაჭერა თვითეულის მიმართ იქნას გამოვლენილი.

სასულიერო თანამდებობა და უფლებამოსილება

ბერძნულ სიტყვას „exousia“ (ეკუსია) ახალ აღთქმაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ის აღნიშნავს იმ უფლებამოსილებას, რომლითაც იესო ასწავლიდა, ცოდვებს მიუტევებდა და სასწაულებს ახდენდა, მაგრამ ასევე ეშმაკების განდევნის უფლებამოსილებას, რომელიც მოწაფეებზეც გადავიდა (მარკ. 3, 15), სულიწმიდის მადლის მინიჭებას ხელდასხმით (საქმე 8, 19) და საერთოდ სამოციქულო უფლებასმოსილებას. როგორც ახალი აღთქმის ტექსტებიდან ჩანს, მოწაფეთა უფლებამოსილება უშუალოდ იესოზეა დამოკიდებული, როგორც მისი უფლებამოსილებაა დამოკიდებული უშუალოდ მამაზე. სასულიერო თანამდებობანი - მეფის, მღვდლისა და წინასწარმეტყველის -, რომლებსაც თავად იესო ქრისტე ატარებს, იმ უფლებამოსილებაში გამოიხატება, რომელიც ღმერთშია დაფუძნებული და სასულიერო თანამდებობის კატეგორიებს ეხება. იესო არის წარმოგზავნილი, იგი ღმერთმა სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვა.

მაშასადამე, მოციქულობა მონაწილეა იმ უფლებამოსილებისა, რომელსაც იესო ქრისტე ანიჭებს. სხვა სასულიერო თანამდებობათა უფლებამოსილებანი მოციქულთა უფლებამოსილებიდან მოდის.

სასულიერო თანამდებობის წარმოშობა

სასულიერო თანამდებობისა და თემის ამოსავალ წერტილს ის მოწაფეები წარმოადგენენ, რომლებიც იესოსთან ერთად დადიოდნენ და სიტყვითა და საქმით იმაზეც მოწმობდნენ, რომ ის ღვთის მიერ იყო მოვლენილი. სწორედ ამ მოწაფეებისგან ამოირჩია იესომ თორმეტი მოციქული. ისინი მხოლოდ ორმოცდაათობის შემდეგ, სულიწმიდის ზემოქმედების შედეგად, შეუდგნენ თავიანთ მოღვაწეობას სამოციქულო უფლებამოსილებითა და ავტორიტეტით.

ახალი აღთქმა არ ავითარებს მოძღვრებას სასულიერო თანამდებობის შესახებ. ადრექრისტიანული თემებისათვის უცნობი იყო სასულიერო თანამდებობის ზოგადსავალდებულო სტრუქტურა. იერუსალმის თემში თავიდან მხოლოდ მოციქულები მოღვაწეობდნენ. შემდეგ ღარიბთა დამხმარეები დანიშნეს, რათა თემში დიაკვნის მსახურება ყოფილიყო უზრუნველყოფილი. პავლეს ეპისტოლეებში მოცემულია მითითებები სასულიერო თანამდებობის შემდეგ გაფართოებასთან დაკავშირებით. ახალი აღთქმის პერიოდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდათ პრესვიტერებს (ხუცესებს) და ეპისკოპოსებს, ისინი თემის ხელმძღვანელები იყვნენ.

სასულიერო თანამდებობის სტრუქტურა დროთა განმავლობაში

თუ თუ ბოლო ასი წლის განმავლობაში მიმდინარე განვითარების პროცესს გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ეკლესია ისევ და ისევ უარს ამბობდა სასულიერო თანამდებობებზე ანდა ახლებს აწესებდა. ახალსამოციქულო მოძრაობაში მთავარი წლების მანძილზე მოციქულის სასულიერო თანამდებობა იყო.

მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებამდე ახალსამოციქულო ეკლესიაში ნაწილობრივ არსებობდა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ეკლესიას, აუცილებლობის გამო, ოთხგვარი სასულიერო თანამდებობა განეკუთვნებოდა: მოციქულის, წინასწარმეტყველის, მახარებლისა და მწყემსის. ეფესელთა მიმართ ეპისტოლე არ ადგენს სასულიერო თანამდებობის ზოგად და სამუდამოდ მოქმედ სტრუქტურას. ამ დასკვნის საფუძველზე მოძღვრება სასულიერო თანამდებობის შესახებ არამდგრადად აღიარეს.

სასულიერო თანამდებობის სტრუქტურა, რომელიც „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოშია“ მოცემული, სასულიერო თანამდებობის იმ სტრუქტურამდე დადის, რომელიც სულ უფრო ვიწროვდება და, რომელსაც საფუძველი პირველმოციქულ იოჰან გოტფრიდ ბიშოფის მოღვაწეობის დროს ჩაეყარა. ამასთანავე, დროთა განმავლობაში ისეთი თანამდებობები, როგორიცაა წინასწარმეტყველი და თემის ხუცესი, გაუქმდა ან ამ თანამდებობების დაკავება აღარ ხდებოდა. იგივე მოხდა დიაკვნის თანაშემწის შემთხვევაშიც.

მახარებლის, მწყემსის, სამხ. მახარებლის, სამხ. ხუცესის თანამდებობების დაკავება აღარ მოხდება. აღარც სამხ. მოციქულისა და ეპისკოპოსის თანამდებობების დაკავება მოხდება. თუმცა „სამხარეო მოციქულის“ წოდების გამოყენება გაგრძელდება, კერძოდ, იმ მოციქულისათვის, რომელსაც სამხარეო ეკლესიის ხელმძღვანელობა დაევალება. „ეპისკოპოსის“ წოდებაც შენარჩუნდება და იმ მღვდელმსახურის აღმნიშვნელი იქნება, ვინც მოციქულის თანაშემწედ დაინიშნება.

თანამდებობრივი უფლებამოსილება და თანამდებობრივი დავალება

სასულიერო თანამდებობა მოიცავს როგორც თანამდებობრივ უფლებამოსილებას, ასევე თანამდებობრივ დავალებას. სასულიერო

თანამდებობის უფლებამოსილება თეოლოგიური ბუნების მატარებელია, ხოლო თანამდებობრივი დავალება - კანონიკური ბუნების.

თანამდებობრივი უფლებამოსილება არის სამერთი ღმერთის სახელით მოქმედებისა და ლაპარაკის უფლება, იგი იესო ქრისტეზეა დაფუძნებული და მოციქულის მიერ ორდინაციასთან ერთად გადაიცემა სულიწმიდის ძალით. სასულიერო თანამდებობის მინიჭებაორდინაციის (ხელდასხმის) შედეგად ხდება. ის უქმდება მოციქულის მიერ თანამდებობიდან გადადგომაზე თანხმობით, სასულიერო თანამდებობიდან განთავისუფლების ან სიკვდილის შედეგად.

თანამდებობრივი დავალების მიცემასთან ერთად მღვდელმსახურს იმის უფლება და ვალდებულება გადაეცემა, რომ მინიჭებული უფლებამოსილებით მან თავისი მსახურება სივრცითა და დროით განსაზღვრულ ფარგლებში აღასრულოს. თანამდებობრივი დავალება მთავრდება კომპეტენციის სფეროს შეცვლით, პენსიაში გასვლით, მოციქულის მიერ თანამდებობიდან გადადგომაზე თანხმობით, სასულიერო თანამდებობიდან განთავისუფლებით ან სიკვდილით.

ორდინაცია (ხელდასხმა), დავალების მიცემა, დანიშვნა

ამჟამად მოქმედ სასულიერო თანამდებობის სტრუქტურაში ამ თანამდებობების სამი საფეხური უფრო ნათლად გამოიკვეთა, ვიდრე მანამდე ჩანდა. კონკრეტულ თანამდებობას მისადაგებულ სასულიერო უფლებამოსილებასა და საეკლესიო ორგანიზაციაში შესასრულებელ დავალებას შორის განსხვავება ახლა უფრო მკაფიოა.

ორდინაცია სასულიერო თანამდებობაზე დანიშვნაა. ის მოციქულის მიერ ხელდასხმითა და ლოცვით ხორციელდება სამერთი ღმერთის სახელით. ორდინაციის დროს უფლებამოსილების, განწმედისა და კურთხევის მიღება ხდება.

ორდინაციის დროს დიაკვანი სიტყვის სწორად უწყებისა და ტრინიტარული კურთხევის მოფენის უფლებამოსილებას იღებს. სასულიერო თანამდებობაზე ორდინირებისას მღვდელი - გარდა, მოცემულ შემთხვევაში, დიაკვნის თანამდებობების მინიჭებისას მიღებული უფლებამოსილებისა - მღვდლად კურთხევისას იღებს ასევე უფლებამოსილებას ცოდვათა შენდობის საუწყებლად, წყლით წმიდა ნათლობისა და წმიდა ზიარების საიდუმლოების მისანიჭებლად და ლოცვა-კურთხევის მოსაფენად. მოციქული მოციქულის სასულიერო თანამდებობაზე ორდინირებისას - გარდა, მოცემულ შემთხვევაში, დიაკვნისა და მღვდლის სასულიერო თანამდებობების მინიჭებისას მიღებული უფლებამოსილებებისა - იღებს ასევე უფლებამოსილებას სულიწმიდით აღბეჭდვის საიდუმლოს მისანიჭებლად და მღვდელმსახურთა ორდინაციისათვის.

ორდინაციისათვის მღვდელმსახურის არჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ფაქტი, რომ ის იმ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს, რომლებიც შესაბამის თანამდებობასთან დაკავშირებული მსახურებისათვის არის საჭირო.

ის, რომ პირველმოციქულის ორდინირებაც ხდება, განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს, ვინაიდან პირველმოციქულიც მოციქულის სასულიერო თანამდებობის მატარებელია. ეს იმიტომ ხდება, რომ პირველმოციქული პეტრეს მსახურებას ახორციელებს და მასთან დაკავშირებული „გასაღებების“ უფლებამოსილებით მთელ ეკლესიას ხელმძღვანელობს.

დავალება არის სასულიერო თანამდებობასთან დაკავშირებული მსახურების დაკისრება, რომელიც თემში, რეგიონში, მხარესა და მთლიანად ეკლესიაში ხელმძღვანელობის ფუნქციას გულისხმობს. დავალების მიცემით სიწმიდისა და კურთხევის მიღება ხდება. დავალება არ უკავშირდება სასულიერო მოღვაწეობის პერიოდს, მაგრამ მასთან ერთად სრულდება.

დანიშვნა სასულიერო მსახურების გადაცემაა მღვდელმსახურისათვის ან საერო პირისათვის. ამ მსახურებების აღსრულების მიზნით ღვთიური კურთხევის მისაღებად ლოცვა აღესრულება.

მღვდელმსახურთა დანიშვნა იმ მიზნითაც შეიძლება, რომ ისინი ხელმძღვანელი ფუნქციების მატარებელ მღვდელმსახურებს დაეხმარონ.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

სემინარი მღვდელმსახურებისათვის საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მღვდელმსახურები სემინარის შემდეგ

30 ივნისს საქართველოს მოციქული ვოლფგან შუგი ეწვია მახარებელ რენე ფოლმანთან ერთად. შაბათს, 1 ივლისს მოციქულმა და მახ. ფოლმანმა, მახ. ზურა ქველაძესთან ერთად ფოთისა და ბათუმის თემების მოსანახულებლად ბათუმისკენ აიღეს გეზი. 2 ივლისს მოციქული თანმხლებლებთან ერთად ფოთის თემს ეწვია ღვთისმსახურების ჩასატარებლად. ქადაგებას მან საფუძვლად დაუდო სიტყვები ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან - 26, 1-3: „იმ დღეს იმღერებენ ამ სიმღერას იუდეას ქვეყანაში: მაგარი ქალაქი გვაქვს ჩვენ, ხსნად დაადგენს კედლებსა და მიწაყრილს. გახსენით კარიბჭე! მოვიდეს რწმენის დამცველი მართალი ერი. სულს, რომელიც შენ გენდობა, იფარავ მშვიდობაში, რადგან შენზეა მონდობილი.“ მეორე დღეს, კვირას, ღვთისმსახურება მან ბათუმის თემში ჩაატარა, რომელსაც 18 მორწმუნე ესწრებოდა. ღვთისმსახურებაზე სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა, მრევლი დიდი ყურადღებით უსმენდა მოციქულს და მისი ხელშეწყობით გალობაც შესაძლებელი გახდა.

4 ივლისს თბილისში სემინარი ჩატარდა, რომელშიც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მღვდელმსახურებმა მიიღეს მონაწილეობა. სემინარს ხუცესი იურგენ ფოლმანი და სამხ. მახარებელი მიშა ხიზანიშვილიც შემოუერთდნენ, რომლებიც მანამდე ბაქოში იმყოფებოდნენ. სემინარის ძირითად თემას „ხსნა და გამოსყიდვა“ წარმოადგენდა (სემინარი რუსულად ითარგმნებოდა).

რამოდენიმე მთავარი პუნქტი, რომელზედაც მოციქულმა ყურადღება გაამახვილა:

- იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი ადამიანია. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ქალწულისგან იშვა, რამეთუ მას მემკვიდრეობითი ცოდვები აღარ დააწვა. მართალია, იგი უცოდველი იყო, მაგრამ მაინც, როგორც ცოდვილი, ჯვარზე მოკვდა. აღდგომითა და ცოდვაზე გამარჯვებით ქრისტემ გამოგვისყიდა და საწინდარი გაიღო იმისათვის, რომ ცოდვის ტყვეობიდან გავთავისუფლდეთ;
- ხსნას რომ მიაღწიოს, ადამიანს იესო ქრისტესი უნდა სწამდეს, აღიაროს იგი, მისდევდეს მას და იცავდეს სახარებას;
- იმისათვის რომ ხსნას და გამოსყიდვას ქმედითი ძალა ჰქონდეს, „სულიწმიდა“ და „მოციქულობაა“ საჭირო;

ავლაბრის თემის მრევლი ღვთისმსახურების შემდეგ

- პირველმოციქულის თანამდებობა იესო ქრისტემ ეკლესიის ერთობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე მოძღვრების ფუნდამენტად დაადგინა.
- ხსნას ყველა ადამიანისათვის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, რაც მის ცხოვრებისეულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. ხშირად ეს აუტანელი და გამოუვალი მდგომარეობის დასასრულის ნატვრას ნიშნავს. მაგრამ ცოდვა, ომები, სნეულებები და აშ. ყოველთვის არსებობდა. მთავარი აქ ის არის, რომ ღმერთთან სრული საუკუნო თანაზიარების სურვილი გვქონდეს. ლაპარაკია სასძლოსა და სასიძოს შეერთებაზე. ქრისტეს მეორედ მოსვლის დროისათვის გადამწყვეტი ეკლესიის წევრთა რაოდენობა არ იქნება.
- ღმერთთან საუკუნო თანაზიარების წინაპირობებს იესო ქრისტეს მიმართ რწმენა და საიდუმლოთა მიღება წარმოადგენს.

სემინარის დასრულების შემდეგ მოციქულმა მღვდელმსახურები სავახშმოდ მიიწვია. სემინარზე მეგობრული ატმოსფერო სუფევდა, დაისვა საინტერესო კითხვები და პასუხებიც შესაბამისად მრავლისმომცველი და ყურადსაღები იყო.

იმავე საღამოს მოციქულმა ვ. შუგმა და სამხ. ხუცესმა იურგენ ფოლმანმა ჩვენი ერთმორწმუნე დის ნატალია ქევხიშვილის საფლავი მოინახულეს. მათ მისი მეუღლე, მღვდელი პენსიაში მერაბ რაქვიაშვილი და მათი ვაჟი ახლდა თან. მოციქულმა მოკლე პანაშვიდი ჩაატრა.

ოთხშაბათს, 6 ივლისს, მოციქულმა ვ. შუგმა თბილისის თემისათვის იმსახურა. ღვთისმსახურება მან იოელ წინასწარმეტყველის სიტყვებით (2, 23) წარმართა. ღმერთი ყოვლისშემძლე და ცისა და მიწის შემოქმედია. ღმერთს ყველა ნაკლის აღმოფხვრა შეუძლია. იგი სულიერ შემოქმედებაზე უფლობს და სრულყოფამდე მიიყვანს მას, როგორი სირთულეებიც არ უნდა არსებობდეს. ადამიანები ყოველ დღე აწყდებიან პრობლემებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღვთის საქმე სისრულემდე ვერ მივა. ნუ ავიკვიატებთ ამას. იესოსაც უჭირდა ადამიანების გადარწმუნება, მაგრამ ძალას არასოდეს ატანდა მათ. ღმერთმა ადამიანებს თავისუფალი ნება მისცა. ჩვენც უნდა ვისწავლოთ ჩვენს ნაკლოვანებებთან გამკლავება. ღმერთი იცავს თავის პირობას. ჩვენი შრომა თესვას ჰგავს, არა აქვს მნიშვნელობა თუ რამხელაა თესლის მარცვალი, ის მაინც გაიხარებს და მოსავალს მოგვცემს. მოსავალი ყოველთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ნათესი. ღვთისმსახურების მეშვეობით ღმერთი ძალიან ბევრ რამეს გვაძლევს, თუმცა ამას მაშინვე ვერ ვხედავთ და ვერ ვგრძნობთ. ერთ დღესაც გაოცებულნი დავრჩებით, როცა დავინახავთ, თუ რა შედეგი მოჰყვა ჩვენს შრომას.

7 ივლისს მოციქული და მისი თანმხლებლები სამშობლოში დაბრუნდნენ.

სემინარი

პერსპექტიული გეგმა

02. 10. 2022 წ. ევროქსი (საფრანგეთი)
13. 10. 2022 წ. ტაგიენი (ფილიპინები)
15. 10. 2022 წ. გენერალ სანტოსი (ფილიპინები)
16. 10. 2022 წ. ტუპი (ფილიპინები)
23. 10. 2022 წ. ლიმბურგის პროვინცია (ნიდერლანდები)
30. 10. 2022 წ. კილი (ჩრდ. და აღმ. გერმანია)
06. 11. 2022 წ. ინდიანა (აშშ)
13. 11. 2022 წ. ნიურნბერგი (გერმანია)
20. 11. 2022 წ. ვინტერთური (შვეიცარია)
27. 11. 2022 წ. მოლდოვა (მოლდოვა)
01. 12. 2022 წ. ბლუმფონტეინი (სამხრ. აფრიკა)
04. 12. 2022 წ. კეიპ-ტაუნი (სამხრ. აფრიკა)
11. 12. 2022 წ. ვიზბადენი (გერმანია)
28. 12. 2022 წ. ამნევილი (საფრანგეთი)
25. 12. 2022 წ. ჯერ დასადგენია (საფრანგეთი)

New Apostolic Church
International